# საქართველოს მთავრობის
# დადგენილება
# N 320 2010 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი

## საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1.** "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქარ-თვე---ლოს კანონის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს ოკუ-პი---რ-ე-ბულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის თანდარ-თუ-ლი წე-სები.

**მუხლი 2.** დადგენილება, გარდა "საქართველოს ოკუ-პი-რე-ბულ ტე-რი----- ტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების" მე-7 მუხ-ლის მე-3 პუნ-ქტისა (ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ფარ--გლებ-ში), ამ--ოქ--მედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო "საქარ-თვე-ლოს ოკ-უ-პირ-ე-ბულ ტერიტორიებზე საქ-მი-ა-ნო-ბის წარმართვის წე-სების" მე-7 მუხ-ლის მე-3 პუნქტი (ნე-იტ-რა-ლუ-რი სამგზავრო დო-კუმენტის ფარ-გ-ლებში) ამოქმედდეს შესა-ბა-მისი საკანონ-მდებ-ლო ცვლილებების გან-ხორციელების შემდეგ.

**პრემიერ-მინისტრი** *ნიკა გილაური*

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2010 წლის 15 ოქტომბრის
N 320 დადგენილებით

### საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესები

**მუხლი 1. პრეამბულა**

საქართველოს მთავრობა სრულად აცნობიერებს და მიე-სალ-მება საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას აფ--ხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში კონ-ფლი-ქ--ტის მოგვარებისა და ტრანსფორმაციის საქმეში, ისე, როგორც ეს გაცხადებულია "ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგ-მა-ში".

საქართველოს ხელისუფლება ოკუპირებულ ტე-რი-ტო-რი-ებ-ზე მცხოვრებ ადამიანებს თავის მოქალაქეებად მიიჩნევს; შესა-ბა-მი-სად, თავის კონ-სტიტუციურ მოვალეობად თვლის, ხელმი-საწ-ვ-დო--მი გახადოს მათ-თვის ყველა სარგებელი, რომლებითაც გა-რან--ტირებულია სა-ქარ-თვე-ლოს ნებისმიერი მოქალაქე.

ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა “სახელ-მწი--ფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – ჩარ-თუ--ლობა თანამშრომლობის გზით” (დამტკიცებულია საქართვე-ლოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის N107 განკარგულებით) და “ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა” (დამ-ტკი-ც-ებ-ულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N885 გან---კარ-გულებით), რომლებიც მიმართულია აფხაზეთისა და ცხინ---ვა-ლის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის კე-თილ-დღე--ობის გა-უმჯობესებისაკენ. მათთვის და საქართველოს და-ნარ--ჩენი მო-სახ-ლე-ო-ბ-ისთვის გარანტირებული უფლებებით სარ-გებ--ლობის უზრუნ-ველ-ყოფისაკენ, გახლეჩილი საზოგადოების წევ-რებს შორის ურ-თი--ერთობების აღდგენისაკენ.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წლის ოქტომბერს მი--ღე-ბული “ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ” საქართ-ვე-ლოს კანონი, რომელშიც 2010 წლის თებერვალს (ვენეციის კო-მი--სიის რეკო-მენდაცი-ე-ბის შესაბამისად) შევიდა ცვლი-ლებე-ბი, სა-ქარ-თველოს მთავრობას ანიჭებს უფლებას, მისცეს თანხ-მობა ოკ--უ-პირებულ ტერიტორიებზე იმ პროგრამებისა და პროექტების გან-ხორციელებას, რომ-ლე-ბიც პასუხობს ჰუმანიტარულ აუცი-ლებ--ლობას და ხელს უწ-ყობს ნდობის აღდ-გენას.

თანხმობის გაცემის წესი კანონის შესაბამისად დადგინდა სა--ქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით (საქართვე-ლოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის N219 დადგენილება, ცვლი-ლება შეტანილია 2010 წლის 3 ივ-ლი-ს-ის N180 დად-გენი-ლე-ბ-ით), რომლის თა-ნახ-მადაც, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძა-ლუ--ლი საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობას გასცემს სა-ქარ--თველოს მთავრობა _ განკარგულებით, ხოლო “ჩართულობის სტრა-ტეგიის სა-მოქმედო გეგმის” ფარგლებში _ რეინტეგრაციის სა-კითხებში სა-ქართველოს სახელმწიფო მინისტრი _ ბრძანებით.

## მუხლი 2. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების მიზანი

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარ-მართვის წესების (შემდგომში _ წესები) მიზანია უზრუნ-ველ-ყოს ოკ-უპი-რე-ბულ ტერიტორიებზე “ჩართულობის სტრატეგიის სა--მოქმედო გეგმის” ფარგლებში საქმიანობის კოორდი-ნი-რე-ბი-სა-თვის გამ-ჭვირ-ვალე, ეფექტური მექანიზმის შექმნა. ზემოაღნიშ-ნუ-ლი-დან გა--მომ-დინარე, საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს და ცდი--ლობს, მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეუქმნას აღ-ნიშ--ნულ რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებს. ნებისმიერი საქ-მი--ა-ნო-ბის წარმართვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოხდება სა-ქარ--თვე-ლოს მთავრობასა და ჩართულ მხარეებს შორის კონს-ტრუქ---ცი-ული დიალოგის საფუძველზე.

## მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნე-ლო-ბ-ები:

**ა) ოკუპირებული ტერიტორიები** – “ოკუპირებული ტერი-ტო--რი-ებ-ის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და  მე-10 მუხლის მე-2 პუნ-ქტით განსაზღვრული ტერიტორიები;

**ბ) გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება** – მოსახ-ლე-ო-ბის სი-ცოცხლის უფლების უზრუნველსაყოფად მოსახლეობის საკ-ვებით, მედიკამენტებითა და პირ-ველადი მოთხოვნილების საგ-ნე-ბით უზ-რუნველყოფა;

**გ) აკრძალული საქმიანობა** – ოკუპირებულ ტერი-ტო-რი-ებ-ზე “ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის” ფარგლებში “ოკ-უპირებული ტე-რიტორიების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირ-ველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა;

**დ) განცხადების წარმდგენი** – ნებისმიერი მხარე, რომე-ლიც წა-რადგენს შეტყობინებას ან პროექტის აღწერილობას ამ წე-სების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის შესა-ბა-მი-სად. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის აღწერილობა ერთობ-ლი-ვად არის წარდგენილი, პრო-ექტის აღწერილობის სრულყოფი-სა-თვის ყველა მხარე თანაბრად პასუხისმგებელია.

**მუხლი 4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის  განხორციელების წესები**

1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საქართველოს კანონ-მდებ-ლო--ბის ფარგლებში, საქმიანობის წარმართვისათვის თან-ხმო-ბის მი-ცემის გამარტივებისა და გაუგებრობის თავიდან აცი-ლე-ბის მიზ-ნით დადგინდა შემდეგი წესები:

ა) საერთაშორისო და პროექტების განმახორციელებელი პარ--ტნიორი ორგანიზაციების მიერ ოკუპირებულ ტერი-ტო-რი-ებ-ზე გა-დაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად:

ა.ა) საერთაშორისო ორგანიზაციებმა* საქართველოს ოკ-უ-პ--ირებულ ტერიტორიებზე გადაუდებელი ჰუმანიტარული დახ-მა-რე--ბის წარმართვისათვის შეტყობინება უნდა გაუგზავნონ რე-ინ-ტე-გ--რაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპ--ა-რატს ამ წესების N1 დანართით განსაზღვრული სა-ნო-ტი-ფი-კა-ციო ფორმის შევსების გზით;

ა.ბ) გადაუდებელ შემთხვევებში საერთაშორისო ორ-გა-ნი-ზა--ციებს უფლება აქვთ განახორციელონ გადაუდებელი ჰუ-მა-ნი-ტა-რული დახმარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე რეინ-ტეგ-რა-ცი-ის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპა-რა-ტ-ში ამ მუხლის პირველი პუნქტის “ა.ა” ქვეპუნქტით გათვალის-წი-ნე-ბუ-ლი სანოტიფიკაციო ფორმის შევ-სე-ბ-ის გარეშე. შეტყობინების ვალ-დებულება ძალაში რჩება გადა-უ-დე-ბელი ჰუმანიტარული დახ-მა-რების განხორციელების შემდეგ, შემ-ლებისდაგვარად მოკლე ვა-დაში;

---

* შენიშვნა: *წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მანდატისა და მისი საქმიანობის პრინციპების გათვალისწინებით, ეს წესები არ ვრცელდება მის საქმიანობაზე.*

ბ) საერთაშორისო და პროექტების განმახორციელებელი პარ--ტნიორი ორგანიზაციების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკ--რძალული საქმიანობის განსახორციელებლად:

ბ.ა) საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც საქარ-თვე-ლო--ში ახორციელებს საქმიანობას საქართველოს მთავრობასთან და-დ--ებული შეთანხმების საფუძველზე, პროექტის შესახებ შეტ-ყო--ბინება უნდა გაუგზავნოს რეინტეგრაციის საკითხებში საქარ-თვე--ლოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს ამ წესების N2 და-ნარ-თით განსაზღვრული სანოტიფიკაციო ფორმის შევსების გზით;

ბ.ბ) პროექტების განმახორციელებელმა პარტნიორმა ორ-გა--ნიზაციამ უნდა შეავსოს ამ წესების N3 დანართით გათვალის-წი-ნებული სა-ნო--ტი-ფიკაციო ფორმა და რეინტეგრაციის სა-კით-ხებ-ში სა-ქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში განსახილ-ვე--ლად წარადგინოს განსახორციელებელი საქმიანობის პრო-ექ-ტის აღ-წერილობა და საქართველოში მეწარმეთა და არა-სა-მე-წარ-მეო (არა-კომერ-ცი-უ-ლი) იურიდიული პირის რეესტრში რე-გის-ტრა-ციის ამ-ონაწერი;

გ) პროექტის განმახორციელებელ პარტნიორს პროექტის აღ--წერილობა შეუძლია წარადგინოს რეინტეგრაციის საკითხებში სა--ქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში დო-ნორ(ებ)თან ერ-თობლივად. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის გან-მა-ხორ-ცი-ელ-ებ-ე-ლი პარტნიორი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ-სე-ბუ-ლი ადგი-ლობ-რივი ორგანიზაციაა, რომელიც მოკლებულია სა-შ-უალებას, და-რეგისტრირდეს საქართველოს კანონმდებლობის შე-საბამისად, დო-ნორზე გადადის რეინტეგრაციის საკითხებში სა-ქართველოს სა-ხელმწიფო მინისტრის აპარატში შეტყო-ბი-ნე-ბი-სა და პრო-ექ-ტის აღწერილობის წარდგენის ვალდებულება.

2. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელ-მწი-ფო მინისტრის აპარატი 21 სამუშაო დღის განმავლობაში გამო-თ--ქვამს შენიშვნებს წარდგენილ პროექტთან დაკავშირებით. შე-ნიშ--ვნების არ-არ-სე-ბობის შემთხვევაში, პროექტის განხორცი-ე-ლე-ბაზე თანხმობა ფორ-მდება რეინტეგრაციის საკითხებში საქარ-თველოს სახელ-მწი-ფო მინისტრის ბრძანებით.

3. თუ პროექტის წარმდგენი ამ მუხლის მე-2 პუნქტით დად-გენილ ვა-და-ში არ მიიღებს შენიშვნებს წერილობითი ფორ-მით, ითვლება, რომ პროექტის განხორციელებაზე თანხმობა გა-ცე--მულია.

4. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პროექტი არ შეე-სა-ბა-მე-ბა ამ წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რე-ინ--ტეგრაციის სა-კითხებში საქართველოს სახელმწიფო მინის-ტ-რის აპარატი და-ინ-ტერესებულ პირს ხარვეზის შე-სავსებად დაუდგენს ვადას, რო-მე-ლიც არ უნდა აღემატებოდეს 10 სამუშაო დღეს. აღნიშნულ ვა-დაში საქმისწარმოება შეჩერებულად ით-ვ-ლე-ბა.

5. პროექტის სირთულიდან გამომდინარე, თუ საჭიროა და-მა-ტებითი ინფორმაციის გამოთხოვა, ამ მუხლის მე-4 პუნქტით დად-გენილი ვა-და შეიძლება გაგრძელდეს 10 სამუშაო დღით. და-ინ-ტე-რე-სე-ბუ-ლი პირი წერილობით უნდა იქნეს გაფრთხილებული ვა-დის გაგ-რძე-ლების თაობაზე.

6. პროექტის წარმდგენს შეუძლია წინასწარ გაიაროს კონ-სულ-ტაციები რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სა-ხელ-მწი-ფო მინისტრის აპარატში განსახორციელებელ პრო-ექ-ტ-თან და-კავშირებით.

7. იმ შემთხვევაში, თუ რეინტეგრაციის საკითხებში სა-ქარ-თვე-ლოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი გამოთქვამს შე-ნიშ--ვნებს პროექტთან დაკავშირებით, იგი შეხვდება პროექტის წარ-მომ-დგენის დონორ ორგანიზაციას საკითხის გადაწყვეტის მიზ-ნით. იმ შემთხვევაში, თუ დონორი ორგანიზაცია არ მოისურვებს ჩა-ერთოს მო-ლაპარაკების პროცესში, პროექტის წარმდგენს თა-ვად ექ-ნება სა-შუალება, შეხვდეს რეინტეგრაციის საკითხებში სა-ქარ--თვე-ლოს სა-ხელმწიფო მინისტრის წარმომადგენლებს სა-კით-ხის მო--საგვარებლად.

8. პროექტის განხორციელებაზე უარი შეიძლება გასა-ჩი-ვ-რ-დეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წე-სით.

9. იმ შემთხვევაში, თუ პროექტით გათვალისწინებული საქ--მიანობის განსახორციელებლად პროექტის წარმდგენს, საქარ-თვე--ლოს კანონმდებლობის თანახმად, ესაჭიროება ლიცენზია, რე--გის-ტრაცია ან სხვა ნებართვა, რეინტეგრაციის საკითხებში სა--ქარ-თველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელს შეუწ-ყობს მას აღ-ნიშნული საკითხების მოგვარებაში, შესაბამისი კონ-სულ--ტაციების გაწევის გზით.

10. ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს საქმი-ა-ნო-ბას სა-ქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ვალდებულია, ექვს თვეში ერთხელ წარადგინოს ინფორმაცია პრო-ექტის მიმდი-ნა-რეობის შესახებ რეინტეგრაციის სა-კითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში. თუ დონორი წარმოადგენს სა--ერთაშორისო ორგანიზაციას ან საერთაშორისო განვითარების სა-აგენტოს, ასეთ შემთხვევაში პროექტის მიმდინარეობის შე-სა-ხებ ინფორმაცია შეიძლება ერთობლივად წარადგინონ პროექტის გან--მახორციელებელმა ორგანიზაციამ და დონორმა, ან მხოლოდ დო--ნორმა იკისროს პასუხისმგებლობა ინფორმაციის წარდგე-ნი-სა-თვის. თუ პროექტს რამდენიმე დონორი ჰყავს, მაშინ მათ სოლი-და--რუ-ლად ეკისრებათ პასუხისმგებლობა ინფორმაციის წარდგე-ნი-სათვის. დონორებმა უნდა დანიშნონ ერთ-ერთი დონორი, რო-მე-ლიც პა-სუ-ხისმგებელი იქნება აღნიშნული ვალდებულების შეს-რუ--ლე-ბისათვის.

11. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელ-მწიფო მინისტრი ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსახორ-ცი-ელე-ბე-ლი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს საქარ-თვე-ლოს მთავრობას.

**მუხლი 5. საკონსულტაციო საბჭო**

1. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელ-მწი-ფო მი-ნისტრის აპარატი ყოველწლიურად გაივლის კონსულ-ტა-ცი-ებს დო-ნორებთან ოკუპირებულ ტერიტორიებზე გან-სახორ-ცი-ე-ლ-ებელ პროექტებთან დაკავშირებით, პოლიტიკის ძირითადი მი-მარ-თუ-ლე-ბ--ებისა და პრიორიტეტების საკითხების თაობაზე.

2. ინფორმაციის ეფექტურად ურთიერთგაცვლისა და კონ-სულ---ტაციების გამართვის მიზნით რეინტეგრაციის საკითხებში სა--ქართველოს სახელმწიფო

მინისტრის აპარატი 6 თვეში ერ-თ-ხელ შეხვდება პროექტების განმახორციელებელ პარტნიორებს.

3. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია, მოი-თხო-ვოს არა-გეგ-მური შეხვედრა როგორც რეინტეგრაციის საკით-ხებ-ში სა-ქარ-თვე-ლოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, ისე სხვა პარ-ტნი-ორ-ებთან.

**მუხლი 6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსახორ-ცი-ელებე-ლი პროექტის შეფასების კრიტერიუმები**

პრო-ექ-ტებმა უნდა დააკმაყოფილოს ის კრიტერიუმები, რომ--ლებიც მათი საქმიანობისა და მიზნების რე-ლევანტურია, კერ-ძოდ:

ა) პროექტი თანხვედრაშია საქართველოს კანონ-მდებლო-ბას-თან, ოკ-უპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობის სტრა---ტე---გიასთან, "ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგ-მა-სა" და საერთაშორისო სამარ-თალ-თან;

ბ) ორგანიზაციას გააჩნია კონფლიქტის მოგვარებისა და კონ-ფლიქტის ტრან-სფორმაციის ხელშემწყობი მიზანი;

გ) პროექტის მიზანია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვა-რე-ბა, ომ-ის შედეგად გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდო--ბის აღდგენა, ადამიანის უფლებების დაცვა, იძულებით ად-გილ-ნაცვალ პირთა რეპატრიაცია, ომით დაზარალებული მო-სა-ხ-ლე-ობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;

დ) პროექტი ხელს უწყობს ადამიანებს შორის ურთი-ერ-თო-ბ-ების აღ-დგენას და ამ მიზნით პროცესში რთავს ოკუპირებულ ტე--რი-ტორიებზე ამჟამად მცხოვრებ და ამ ტერიტორიებიდან დევ-ნილ მოსახლეობას;

ე) ოკუპირებულ ტერიტორიებზე პროექტები ხორციელდება ად--გი-ლობრივ ნებაყოფლობით გაერთიანებებთან თანა-მშრო-მ-ლო-ბით. პროექტში უნდა ჩანდეს, თუ რამდენად ღირებულია იგი სხვა მსგავს პროექტებთან შედარებით; ასევე ნათლად უნ-და გა-მო-იკვეთოს პროექტის მოსალოდნელი შედეგები.

**მუხლი 7. განსაკუთრებული წესები**

1. პროექტების განხორციელებისას ნებისმიერი ორგა-ნი-ზა-ცი-ის წარმომადგენელი („ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანო-ნით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევების გარდა) უნ-და შევიდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპი-რე-ბუ--ლი ტე-რი--ტორიების შესახებ" საქართველოს კანონით დადგე-ნი-ლი მი-მარ-თულებიდან.

2. პროექტის დოკუმენტაციაში გამოყენებული ტერმინები უნ---და შეესაბამებოდეს საქართველოში მისაღებ ქართულ ტერმი-ნებს და ადეკვატურად ითარგმნოს სხვა ენებზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ პროექტით გათვალისწინებულია ოკ--უპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების საქარ-თვე-ლოს საზღვრებს გარეთ გაყვანა, ამ ადამიანების მგზავრობა უნ-და განხორციელდეს ან საქართველოს საზღვარგარეთის პას-პორ-ტით, ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტით.

4. ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია/გარიგება უნდა გან-ხორ--ციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**დანართი N1**

**სანოტიფიკაციო ფორმა N1**

**საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების წარმართვისათვის**

**ზოგადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| ორგანიზაციის სახელი | |
| მისამართი | |
| ტელეფონი | |
| ელექტრონული ფოსტა | |
| ვებგვერდი | |
| ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ (რეგისტრაციის არსებობის შემთხვევაში) | |
| ორგანიზაციის მისიის აღწერა | |
| საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელექტრონული მისამართი) | |

**ინფორმაცია გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების აუცილებლობის შესახებ**

| | |
|---|---|
| ჰუმანიტარული მდგომარეობის აღწერა *(რით არის გამოწვეული, რომელ გეოგრაფიულ არეალს მოიცავს ჰუმანიტარული მდგომარეობის მიერ გამოწვეული შედეგები)* | |
| ჰუმანიტარული დახმარების სახეობა | |
| ჰუმანიტარული დახმარების | |

| | |
|---|---|
| რაოდენობა | |
| დონორები | |
| გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების გაცემის ვადა (ერთჯერადი, მრავალჯერადი) | |
| გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების შეტანის მიმართულება და პროპორციები | |
| დამატებითი ინფორმაცია | |

დანართი N2

სანოტიფიკაციო ფორმა N2

სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მთავრობასთან დადებული შეთანხმებების თანახმად

ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| ორგანიზაციის სახელი | |
| მისამართი | |
| ტელეფონი | |
| ელექტრონული ფოსტა | |
| ვებგვერდი | |
| ორგანიზაციის მისიის აღწერა | |
| საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელექტრონული მისამართი) | |

ინფორმაცია განსახორციელებელი პროექტის შესახებ

| | |
|---|---|
| პროექტის სახელი | |
| პროექტის სტატუსი (მიმდინარე, იდეა, დაფინანსებული, | |

| | |
|---|---|
| გაგრძელებული) | |
| დონორ(ებ)ი (დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია) | |
| პროექტის მიზანი | |
| პროექტის მოსალოდნელი შედეგები | |
| დაწყების თარიღი | |
| დასრულების თარიღი | |
| დამატებითი ინფორმაცია | |

დანართი N3

სანოტიფიკაციო ფორმა N3

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის

ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| ორგანიზაციის სახელი | |
| პროექტი ერთობლივად არის წარდგენილი  დონორისა და პროექტის წარმდგენის მიერ<br><br>კი/არა<br><br>დადებითი პასუხის შემთხვევაში: დონორ(ებ)ის დასახელება | |
| მისამართი | |
| ტელეფონი | |
| ელექტრონული ფოსტა | |
| ვებგვერდი | |
| ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ | |
| ორგანიზაციის მისიის აღწერა | |
| პროექტები | |

| | |
|---|---|
| (მიმდინარე/დასრულებული) | |
| საკონტაქტო პირი<br>(სახელი, გვარი, ტელეფონი, ელექტრონული მისამართი) | |

ინფორმაცია განსახორციელებელი პროექტის შესახებ

| | |
|---|---|
| პროექტის სახელი | |
| პროექტის სტატუსი<br>(მიმდინარე, იდეა, დაფინანსებული, გაგრძელებული) | |
| დონორ(ებ)ი<br>(დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია) | |
| პროექტის მიზანი | |
| პროექტის მოსალოდნელი შედეგები | |
| დაწყების თარიღი | |
| დასრულების თარიღი | |
| ფინანსური ინფორმაცია<br>(მოსალოდნელი ბიუჯეტი, რესურსები, საბანკო ინფორმაცია) | |
| ინფორმაცია ადგილობრივი პარტნიორების შესახებ<br>(დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია) | |
| ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამგზავრების მოსალოდნელი განრიგი | |
| დამატებითი ინფორმაცია | |